ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N33

2016 წლის 4 აპრილი
ქ.ქობულეთი

**ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“-ს ქ.ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N23-ის მიმდებარედ ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ფ/პ „ირაკლი ტყებუჩავა“-ს კუთვნილ ობიექტზე (ს/კ 20.42.07.330) 0.4 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული ნახაზის შესაბამისად;

2. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**